ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობოზი

24

გამოცემის 56-ე წელი, (№ 1562). დეკემბერი, 1979, ფასი 20 კაპ.

ნახ. ჯ. ლოლუასი

— ესაა, ღმერთო, შენი დასეტყვილი და დაგვალული საქართველო?! ნახე, წელს იქ რა არნახული მოსავალი მოუწევიათ!

აფრასიონ კინწურეიშვილი

ამ ოციოდე წლის წინათ, **„ნიანგის“ ბიბლიოთეკის“** სერიით, გამოვიდა მანამდე უცნობი იუმორისტის — **აფრასიონ კინწურეიშვილის** სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებების კრებული **„თბილისის ღამე“**. მაშინ ახალგაზრდა მხატვარმა **ჯემალ ლოლუამ** (ვინც ეს წიგნი დაასურათა) და რამდენიმე ნიანგელმა იცოდნენ, რომ წიგნის ავტორი იყო ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე.

ნიანგმა მხოლოდ ახლა, პოეტის დაბადების 70-ე წლისთავზე, გახსნა თავისი დოსიე და აუწყებს მკითხველებს: **აფრასიონ კინწურეიშვილი ირაკლი აბაშიძის** ფსევდონიმია!

ძველი ნიანგელის ძველი წიგნიდან გთავაზობთ ძველ ნაწარმოებებს. თავად მიხვდებით, რომ ისინი კვლავაც ძალუმად ეხმაურებიან ჩვენს დღევანდელობას.



კურდღელი და კუ

(მიხალკოვიდან გადმოკეთებული)

ერთხელ კურდღელი სადღაც
ხნულებთან
იწვა, სნეული ციებ-ცხელებით,
სიცხიან ფეხებს აფხაკუნებდა
და ნორჩ ბალახებს გლეჯდა ხელებით.

იწვა ცანცალა, შველას ითხოვდა,
მიწას ურტყამდა ყურებს საჟნიანს
და რომ საშველზე აღარც ფიქრობდა,
უცებ ბუჩქებში კუ შეამჩნია.

— „ჰეი, ძმობილო, ზურგს ნუ
შემაქცევ!
ხედავ? დავეცი, საქმე იჭვზეა,
თუ ღმერთი გწამდეს, წყალი,
მიშველე!
აგე მდინარეც ორ ნაბიჯზეა!“

კუმ როდი უთხრა სნეულს უარი,
ადგა, წავიდა ფეხდაუღლელი,
გადის საათი, გადის მეორე,
დასაღამოვდა, უცდის კურდღელი!..

— „ვაი, რა საქმე ვის დავავალე?!“ —
იწყო სნეულმა ლანძღვა-გინება:
—„გიცდი, სადა ხარ, ქვეწარმავალო?!
მოვკვდი, წამერთვა კაცს მოთმინება!“

— „რას იგინები?!“ —კუმ არ აცალა!..
ცქვიტა კურდღელმა უცებ ყურები:
— „მოხველ?! დაბრუნდი?!“
— „არა, ცანცალავ,
ჯერ კიდევ იქით მივეშურები!“

* * *

ბევრი კუ ჩვენშიც, გაგეხარება,
მრავალ ბუჩქშია, მრავალ ხვრელშია
და, როცა ვითხოვთ სწრაფ
დახმარებას,
ხშირად ეს საქმე იმათ ხელშია!

აშკარად ვიგრძენი ჯიბეში უცხო ხელის ფათური.

„ჯიბგირი!“ — გამიელვა თავში და ელვის სისწრაფით ვიტაცე ჯიბეს ხელი, მაგრამ ის უცხო ხელი ელვაზე უფრო სწრაფი აღმოჩნდა და ჩემი საფულე ისე გაქრა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

მოწყვეტილად შემოვბრუნდი. ჩემს უკან ფრიად საეჭვო ახალგაზრდა იდგა, რომელმაც შემობრუნებისთანავე ნაძალადევი აღელვებით მომმართა:

— თუ შედიხართ, ამხანაგო, შედით, თუ არა და, ჩვენ გაგვატარეთ, ხომ ხედავთ, დაიძრა ტროლეიბუსი?!

„აშკარად ესაა!“ — გამიელვა თავში და სწრაფად ვეძგერე, საფულე ამოიღე-მეთქი!..

— რა საფულე?! შენ ყაჩაღი ხომ არა ხარ, რომ საფულეს მთხოვ?! — შემომედავა ახალგაზრდა აქეთ.

— საფულე ამომაცალა, ხალხნო! მილიციას დაუძახეთ! — შევევედრე იქ დამსწრე მოქალაქეებს და, რაც ძალი და ღონე მქონდა, იქით გავათრიე საეჭვო ახალგაზრდა, საითკენაც მილიციელი მეგულებოდა.

— გიჟია ეს ოხერი?! რას გადამეკიდა?! — ზედმეტი აღელვებით კიოდა ახალგაზრდა, რაც მას კიდევ უფრო ამყღავნებდა ჩემს თვალში.

მე გაცილებით ღონიერი აღმოვჩნდი და დამნაშავე მილიციელთან მივათრიე:

— მიშველეთ! ეს-ესაა, ამ კაცმა საფულე ამომაცალა. კიდევ კარგი, მაშინვე ვიგრძენი და ველარსად გამექცა!

— რისი საფულე, რა საფულე?! — კიოდა ახალგაზრდა. — გამჩხრიკეთ, თანახმა ვარ!

მილიციელმა დინჯად ამხედ-დამხედა და დინჯადვე მიუბრუნდა ახალგაზრდას:

ნიანგის ქების სიგელი—70 წლის ირაკლი აბაშიძეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაწყისი

მოგართმევ ქების სიგელსა — მნათო გმირობით, დიდობით!
„ამა საქმესა ვიკადრებ შიშით, კრძალვით და რიდობით“!

„მოსამართლე და მოწყალე“, „მაღალი, უხვი, მდაბალი“ —
ხარ დედასაქართველოსთვის შენ ძილ და შვებაგამკრთალი!

შენს ერისკაცურ გამოსვლებს დღეს სხვა წონა აქვს, სხვა ფასი!

შენ ხარ „მქუხარე ტაშიც“ და „გამოცოცხლებაც დარბაზში“!

კაი ყმად გიცნობს მსოფლიო. — არ წყვეტს საშენო ტაშისკვრას!
რაც მიწაზე ხარ, ირაკლი, ასი იმხელა ცაში ხარ!

ჩემს ძალებს აღემატება შენზე ახალი სიტყვის თქმა,
სამაგიეროდ ძველს გეტყვი: დავიწყებოდე სიკვდილსა!

გმადლობ შენ — ავთანდილივით ბრძენს, რაინდსა და ქველმოქმედს!
ვერ ჩაგატიე ამ ლექსში და გაგრძელებას ქვემოთ ვნერ!

გაგრძელება

„საქართველო სავსე არის, შენი წიგნი ყველგან გაჰქუხს!“
იმკი ხალხის ერთგულებას და სიყვარულს ჯერარნახულს!

თავს დაგვნათი სვეტად ნათლის, მომღერალო ხალხთა ძმობის!

სუყველგან გყავს გულითადი მეგობარი ათასობით!

მართლაც შეუდარებელი ხარ სამშობლოს შერმადინი!
„შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე შენგან ქმნილი!“

ზოგ-ზოგები ამჟამადაც გემტერ-გეციკლოპებიან,
მაგრამ ვერას დაგაკლებენ ცოცხალ ენციკლოპედიას!

—:—:—

მატყვევებ მახვილსიტყვითა, მამულიშვილო ღვთიურო!
ვეთაყვანები სიყრმიდან შენს სატირას და იუმორს!

რომ არ დამტუქსავ, არ დამსჯი — ამის პირობა მომეცი
და შენს ფსევდონიმს გავამხელ აქვე, ამავე ნომერში!

შენ კინწურეიშვილი ხარ, სახელად — აფრასიონი
და შენს უშიშარ სიცილსაც გადახდა ათასი ომი!

დასასრული

შენი ქების ეს სიგელი ჩემს თავს ტკბილად დაგასიზმრებს—
დღევანდელი ლექსის გემის კაპიტანო აბაშიძევ!

შენი ნიანგი

— კარგი ერთი, ნუ წრიპინებ! მარტო შენ ხომ არა ხარ ამოდენა ქალაქში?! მერე მე მომმართა:

— თქვენი საბუთები, ამხანაგო!

— აი, საბუთები!

— საბუთები გქონიათ! აი ასე, ამხანაგო! ყველაფერს საბუთი უნდა! ახლა მითხარით, რა საბუთი გაქვთ, რომ ეს ახალგაზრდა ჯიბგირია?! ხომ იცით, რამოდენა ბრალდებას უყენებთ მას?!

საბუთი ჩემი საფულეა-მეთქი.

— კარგი, მაგრამ სადაა ის თქვენი საბუთი — თქვენი საფულე?!

— ამ კაცმა ამომაცალა!

— საბუთი სახეზე უნდა იყოს, ამხანაგო! აბა, ისე რა საფუძველზე დავაპატიმრო ეს კაცი?!

— კი მაგრამ, საბუთი რომ ხელში

მქონოდა და მაგას არ ამოეცალა, თქვენ ხომ არ მოგმართავდით?!

— საბუთი, ამხანაგო, საბუთი! — აუწია ხმას მილიციელმა.

— კაცო, ეგ ჯიბგირი ხელწერილს ხომ არ მომცემდა, მე, ამა და ამ კაცმა, ამოგაცალე საფულეო?!

— საბუთი, ამხანაგო! უსაბუთოდ ვერაფერს გახდებით! — უკვე გაბრაზებით მომიბრუნდა მილიციელი.

— ფუუუ! — ჩავიქნიე ხელი და ორივეს გავეცალე. ერთი რამ მამშვიდებდა: საფულეში მხოლოდ სამი მანეთი მქონდა. გადამიხურავს შენთვის-მეთქი, ვიფიქრე იმ ჯიბგირზე და ისევ ტროლეიბუსის გაჩერებისაკენ წავედი. ცოტა ხნის შემდეგ მეც შევეჭვდი თვითონ — რას ჩავაცივდი იმ ახალგაზრდას, იქნებ მართლაც არ იყო ჯიბგირი-მეთქი?! კიდევ კარგი, იოლად გადავრჩი. ორიოდე წუთის შემდეგ მოვიხედე, — ახალგაზრდა ისევ ჩემს უკან დგას. გაჩერებასთან ჩვენ ორნი მარტო აღმოვჩნდით.

მან საყვედურით მომმართა:

— ინტელიგენტ კაცს გავხართ, ფულიან კაცს! სამი მანეთის მეტი კი ჯიბეში არ გქონიათ! აი, წაიღე შენი საფულე და იცოდე, მეორეჯერ ასეთ ხურდაზე არ გამასვრევინო ხელი!

სპილო მხატვარი

(მიხალკოვიდან გადმოკეთებული)

მთის პეიზაჟი სპილომ დახატა
და, მუშტრის თვალი ვიდრე ნახავდა,
უხმო მეგობრებს — „ნახეთ ხურათი,
ასი დღე-ღამე ოფლს ვიწურავდი,
ეს არის, მოვრჩი, ჯერაც თბილია,
თქვით, გონჯია თუ სრულყოფილია?!
თემას თუ ჩავწვდი, ფერს თუ მივაგენ?!“
მხეცთაც განქიქეს შრომა სპილოსი:
— „მანკიერია!“ — ამბობს ნიანგი, —
„რატომ სურათზე არ ჩანს ნილოსი?!“
— „ეგ არაფერი!“ — ამბობს თხუნელა, —
„მაგრამ რად შეცდა ხორთუმოსანი,
რად არ დახატა მთაზე ბოსტანი?!
მთებს ხატვა უნდა უფრო მზრუნველად!“
— „მე უკაცრავად!“ — ვეფხვი აღელდა, —
„მე ამ სურათმა ვერ გამახარა,
ზედ რომ ეხატოს, რატომ არ ღირდა,
ერთი უდაბნო, ერთი საჰარა?!“
—„ღრუტ-ღრუტ, კამათი, ვფიქრობ, არცა ღირს,
მე ყველა ღორის ვამბობ თვალსაზრისს:
მთა რომ დახატო, თუნდაც ხომლისა,
რკო უნდა ჩანდეს, პირველ ყოვლისა!“
სპილო თვითონაც იყო ცხოველი,
მიიღო მათი აზრი ყოველი,
დაჯდა ხელახლა ხორთუმოსანი,
დინჯად დახატა მთაზე ბოსტანი,
აქეთ — ნილოსი, იქით — საჰარა,
აქეთ რკო მუხის ქვემოთ დაყარა,
ხატა ზამთრიდან შემოდგომამდე, —
„არვინ მიხსენოს ფუნჯი ავადო!“
(თაფლიც დახატა, — ვნახოთ, მომადგეს
დათვი სურათის სანახავადო?!)
გადის ზაფხული,
გადის ზამთარი,
სპილოს სურათიც ბოლოს მზად არი.
ისევ მოიხმო სპილომ მხეცები,
მაგრამ მხეცებმა თვალდაცეცებით
ერთად იყვირეს, ერთად უსტვინეს!..

* * *

შენც, მეგობარო, რჩევებს უსმინე,
მაგრამ განსჯე გაათკეცებით!

— თუ ძმა ხარ, მაგას რომ მორჩები, მერე ამ „დუგლოფიკაზეც“ დაგიყენე „სეკრეტი“!

ბანმარგებითი ლექსიკონი

ფეხბედნიერი — ვინც იმპორტულ ფეხსაცმელს თავის ფასში იშოვის.

ახე ტაბილად დამიბერდი! — აფხაზეთის ხანდაზმულთა სიძღერისა და ცეკვის ანსამბლიზე ნათქვამი.

ცუდი ფეხი — როცა მეუღლე წვრილუსლიან ფეხსაცმელს მაგიდის ქვეშ ფეხზე დაგაჭერს.

საღლეგრძელი — ზოგიერთებისათვის შესანსაწყინელი „გრძელი სიტყვა მოკლედ თქვის“...

მრავალს დაეწყარი! — მრავალსულიანად სატელეკიზიო ფილმზე იტყვიან.

ᲗᲐᲑᲣᲐ ᲓᲔᲘᲚᲐᲫᲔ

ᲙᲘᲚᲔᲥᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲖᲔ

ᲔᲠᲗᲘ ᲪᲝᲛᲚ-ᲥᲛᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲣᲑᲠᲬᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲘ. ᲣᲑᲝᲛᲝᲓ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐᲗ ᲐᲠᲐ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲜᲘ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲐᲪ — ᲤᲣᲚᲘ! ᲘᲡᲘ ᲧᲣᲧᲕᲐᲠᲓᲗᲐᲜ, ᲘᲡᲘ, ᲠᲐᲗᲐᲛ ᲛᲐᲚᲐᲕᲓᲔᲜᲓᲜᲔ. ᲡᲐᲓᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲘᲜᲔᲑᲘ, ᲤᲣᲚᲘ ᲓᲐᲣᲡᲐᲮᲐᲠ ᲠᲐᲐ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲔᲑᲓᲜᲔ. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲐᲓ ᲨᲔᲡᲐᲛᲑᲘᲡᲐᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲚᲕᲐᲓᲔᲑᲓᲜᲔ. ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲛᲑᲘᲡᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲤᲐᲠᲗᲘ ᲓᲐᲛᲐᲚᲕᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲚᲕᲐᲓᲔᲑ

ნახ. გ. ფირცხალავასი



— თედო, გაუხსენ ფეხები და მაგათ ჩვენზე უკეთ იციან, ვისთან უნდა მივიდნენ!

რა შუაში არიან გერმანელები?

(თბილისური სტატისტიკა)

თქვენთვის ცნობილია, — ორმა გერმანელებმა თბილისის დინამოელები ორჯერ დაამარცხეს: პირველად ჰამბურგში — **3:1**, მეორედ თბილისში — **3:2**.

მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით, ორივე მატჩში, გერმანელებმა კი არა, თბილისელებმა გაიმარჯვეს: ჰამბურგში — **1:0**, თბილისში — **2:1**.

„როგორ?!“ — გაკვირვებთ თქვენ. ახლავე მოგახსენებთ: ჰამბურგში გერმანელებს არც ერთი ბურთი არ გაუტანიათ!

„როგორ თუ არ გაუტანიათ?!“ — იყვირებთ თქვენ, — „მაშ, სამი ბურთი ჩვენს კარში ვინ გაიტანა!“

ვინ გაიტანა და, ყოველ შემთხვევაში, არაგერმანელმა: პირველი ბურთი დინამოელთა კარში თბილისელმა შეაგდო, მეორე — ინგლისელმა, მესამე — მულატმა.

დინამოელებმა კი მოწინააღმდეგის კარში ერთი მეტად ლამაზი ბურთი გაიტანეს! მაშ, ასე: **1:0** თბილისელთა სასარგებლოდ!

თბილისში კი სამი ბურთიდან მხოლოდ ერთი გაიტანა გერმანელმა, ორი დანარჩენი კი — ინგლისელმა და იუგოსლაველმა და თბილისშიც ჩვენ გავიმარჯვეთ ანგარიშით **2:1**.

როგორც დაინახეთ, ორივე მატჩი გერმანელებთან თბილისელების სასარგებლოდ დამთავრდა, ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების შემდეგ ტურში კი რატომღაც გერმანელები გავიდნენ! ესაა სამართალი?!

გიგლა ფირცხალავა,
საქართველოს სახალხო გულშემატკივარი.

საშიში დაავადებები

ნახ. ნ. მალაზონიასი



ღოთობა

ინფექციური დაავადებაა. ინფექციის წყაროს წარმოადგენს ალკოჰოლური სასმელები, რომლებსაც ავადმყოფი უზომოდ ეტანება.

დაავადების ხელშემწყობი ფაქტორებია: უსაქმურობა, უმიზნობა, სულიერი სიცარიელე, სუფრის ღირსეული ტრადიციების გაუკუღმართება.

პათოლოგიური ცვლილებები: ღოთს სახე უწითლდება, განიცდის გონებრივ დეგრადაციასა და სხეულის დეფორმაციას. გაურბის ოჯახსა და სამსახურს, ცუდი კარგად ეჩვენება, კარგი კი — ცუდად.

ლოთი, ანუ ალკოჰოლიკი, სუფრაზე ჯერ ქადაგად ეცემა, ბოლოს მუნჯდება. ვინც თვალში არ მოუვა, ჯერ ადღეგრძელებს, მერე აგინებს, ხოლო ვინც მოეწონება, ჯერ კოცნის, მერე კი კბენს.

სიმთვრალეში თავი ხან დევგმირად წარმოუდგენია, ხან — გენიოსად, სხვებს კი დებილებად და კაცუნებად თვლის.

სიმთვრალე ზოგჯერ სიშმაგეში გადაეზრდება ხოლმე და თავს ესხმის ადამიანებს. ამიტომაც ცივი შხაპის ქვეშ, ან მილიციის განყოფილებაში უხდება გამოფხიზლება.

ღამეს ათევს იქ, სადაც ძილი მიუსწრებს, სასთუმლად იყენებს მაგიდის ძგიდეს, წვნიან თეფშს, ფანჯრის რაფას, ან ტროტუარის ბორდიურს.

ცდებიან ისინი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ლოთობის განკურნება მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებების საქმეა. მის წინააღმდეგ მთელი საზოგადოება უნდა დაირაზმოს!

მღიქვნელობა

კარიერისტული სენია. იწვევს სამსახურებრივი მდგომარეობის შენარჩუნების, ან დაწინაურების სურვილი.

მლიქვნელი ცდილობს, მინიერი არსება, ე. ი. მისი უფროსი, ცაში აიყვანოს, ამიტომ ეს უკანასკნელიც ადვილად ავადდება პატივმოყვარეობით, ანუ ამბიციით.

ავადმყოფის გარეგნული ნიშნები: ქლესა სახე, შემპარავი მზერა და სიარული, დაცქვეტილი ყურები.

ავადმყოფობა უფროსის გამოჩენისთანავე იჩენს თავს. მლიქვნელი ამ დროს, წონასწორობასთან ერთად, ვერტიკალურ მდგომარეობასაც კარგავს და ნახევრადჰორიზონტალურ, ზოგჯერ კი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გადადის. მერე ხელ-ფეხს ულოკავს თავის კერპს და ნოკდაუნში ჩავარდნილ მოკრივესავით ნელ-ნელა იბრუნებს საწყის მდგომარეობას.

სამსახურში თავს ისე გრძნობს, როგორც სცენაზე და იმდენ როლს თამაშობს, რამდენი უფროსიც ჰყავს.

ავადმყოფი დაავადებისთანავე განიცდის პათოლოგიურ ცვლილებებს: ეკარგება თავმოყვარეობა, ხდება უპრინციპო, უფროსებთან სულ იღიმება, ხელქვეითებთან კი იღუშება.

ავადმყოფობის განვითარებას ხელს უწყობენ ბრიყვი და პატივმოყვარე უფროსები. მლიქვნელი მათ წინაშე სულ ქედს იხრის და თანდათან ემსგავსება კუზიანს, ბუნებრივ მდგომარეობას კი მხოლოდ სამარეში იბრუნებს.

მლიქვნელის განკურნება მხოლოდ ჭკვიან უფროსს შეუძლია.

ალმანზორ თავაძე

ნახ. ლ. ერისთავისა



— თოვლის გაგუა ვარ, პირადობის მოწმობა არ მაქვსო და, რა ვქნათ, გავუღოთ კარი?!

სასკოლო ისტორია

ქალაქი ჰამელნი. ერთ-ერთი სკოლის მეშვიდე კლასი. 12-15 წლის მოზარდებს ერთსა და იმავე შეკითხვას აძლევენ: „რა იცი ოსვენციმის, დახაუსა და მაიდანეკის შესახებ?“

პასუხები სწორედ რომ საოცარია.

— მგონი, პოლიტიკური მოღვაწენი იყვნენ.

— ამ ქალაქებში მრავალი უმძიმესი ბრძოლა მომხდარა თურმე...

— მათ შესახებ არაფერი გამიგონია.

არაფერი გაუგონიათ!.. ასეთი პასუხი ექვსმა გასცა. კიდევ ათს სიტყვაც არ დაუძრავს და მხოლოდ ორმა იცოდა, რას ეკითხებოდნენ.

ჟურნალი „ნოვოე ვრემია“

ნახ. გ. ლომიძისა



თბილწყალსადენის წვეთები.

დიალოგები

— მაგალითები არასწორად გაქვს ამოხსნილი, ხვალ მშობლებს მოიყვან სკოლაში!

— მშობლები რად გინდათ, მასწ.?! ვერც იმათ ამოხსნეს!

გიგლა ბახტაძე

ტაქსისტი: საით?

კლიენტი: გლდანის მასივი, I მიკროორაიონი, II კვარტალი, I შესახვევი, მესამე სადარბაზო!..

ტაქსისტი: მაგდენს ვერ მოვასწრებ, თორმეტი საათი ხდება, წელს გარაჟში უნდა ვიყო!..

მურმან მერკვილიშვილი

1979—ბავშვის საერთაშორისო წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ ვიტოვებ, ეს ქვეყანა!

ეს ქვეყანა, — ეს ალპური მინდვრები,
ეს კლდეები,— არჩვით, ჯიხვით მდიდრები,
ეს ზეგნები, — წიფლის, მუხის ჯარებით,
ეს ტევრები, ეს ყანები, ჭალები,
ეს კოშკებიც — მთებს რომ შემორჩენია,
ყველაფერი,
ყველაფერი შენია!

ეს კოლხეთი, ეს ქართლი და კახეთი, —
ეს ქვეყანა ლიხს-იქით-და-აქეთი, —
ეს შავი ზღვა, ეს ცისფერი ტყეები,
ლურჯი ტბები, ურჩი მდინარეები, —
წინაპართა წყალობით რომ გვშთენია —
ყველაფერი,
ყველაფერი შენია!

ეს ბაღები, ეს არხები, დამბები,
ეს ქარხნები, ეს ჩარხები, სტამბები,
ეს სოფლები, ქალაქები, დაბები,
ეს ხახვრები, ძმობის, მტრობის ძაფები, —
მე მივდივარ, ახლა შენი ჯერია, —
ყველაფერი,
ყველაფერი შენია!

ეს ბოლნისი, ჭიათურა, ტყვარჩელი,
ეს სპილენძი, მარგანეცი, ნახშირი,
ეს ფიქალი, ეს მარმარის ლოდები,
მიწის გულში გატრუნული ზოდები, —
ჯერ ყრმა ხარ და, შენთვის არაფერია, —
დაგჭირდება,
ეს სიმდიდრე შენია!

ეს წარსული, — ეს ფრესკები, ტაძრები,
სულისბერვით გასაჩხრეკი ნაცრები,
ეს ახპინძა, ეს დიდგორი, კრწანისი,
ეს კრწანისი, მწარეზე უმწარესი, —
რომელს ჩვენთვის ხვედრი დაუდგენია, —
ყველაფერი,
ყველაფერი შენია!

სხვას ვინ მისცა „ლილეო“ და „ძხედრული“!
უძველესი ხელოვნება ჭედური!
ეს აკაკი, ეს ვაჟა და ილია
და თუ დიდთან ჩვენიც მცირე წვლილია, —
(რა თქმა უნდა, სხვაა რუსთველის გენია!)
ყველაფერი,
ყველაფერი შენია!

ხარ მდიდარი აურაცხელ ქონებით,
ხისხლით, ჯიშით, სიმხნით, ნიჭით, გონებით!
ხარ აწმყოთი და წარსულით მდიდარი,
თან ხვალის დღის შიში — არავითარი!
ღმერთი-რჯული, წასვლა მე არ მწყენია,
მე მივდივარ, ახლა შენი ჯერია,
შენ გიტოვებ,
საქართველო შენია!

მურმან ლეგანიძე

7 – 79

ნახ. მ. აბაშიძისა

— აგა, შენ იცი, ოლიმპიური წელი ხარ!

802
79
31/XII

79 – 802

ეროვნული ბიბლიოთეკა
76137

ფრენსის ჩერჩი

(აშშ)

არსებობს თუ არა თოვლის ბაბუა?

• ძვირფასო რედაქტორო! მე რვა წლისა ვარ• ზოგიერთი ჩემი მეგობარი ამბობს, თოვლის ბაბუა არ არსებობსო! გთხოვთ, მითხრათ სიმართლე— არსებობს თუ არა თოვლის ბაბუა?

ვირჯინია ო ანლონი

სიამოვნებით ვპასუხობთ ჩვენი პატარა მკითხველის ამ წერილს.

ვირჯინია! შენი მეგობრები ცდებიან! ჩვენი სკეპტიკური საუკუნის ზეგავლენით ისინი თვით გახდნენ სკეპტიკოსები. ათ მხოლოდ ის სჯერათ, რასაც ხედავენ. მათთვის არ არსებობს ის, რისი გათვითცნობიერებაც მათ პატარა გონებას არ ძალუძს. ყველა გონება პატარაა, თუ ადამიანს შევადარებთ იმ თვალუწვდენელ სამყაროს, რომელიც მას გარს არტყია, თუ გავითვალისწინებთ მისი გონების უნარს, აითვისოს მთელი ცოდნა და ყველა ჭეშმარიტება ჩვენს უსაზღვრო სამყაროში, ადამიანი სხვა არაფერია, თუ არა უბადრუკი მწერი!

კი, ვირჯინია, თოვლის ბაბუა არსებობს! იგი ისევე რეალურად არსებობს, როგორც სიყვარული, სიკეთე, ერთგულება! შენ იცი, ისინი არსებობენ და შენს ცხოვრებას ანიჭებენ სიხარულსა და მშვენიერებას. რა უსიხარულო იქნებოდა სიცოცხლე თოვლის ბაბუის გარეშე? ალბათ, ისეთივე უსიხარულო, — რომ არ ყოფილიყო პატარა ვირჯინია! მაშინ ცხოვრებას მოაკლდებოდა ბავშვური რწმენა, პოეზია, რომანტიკა, რის გარეშეც ჩვენი ცხოვრება აუტანელი იქნებოდა. ჩვენ არაფერი გაგვახარებდა გარდა იმისა, რისი დანახვაც და ხელის ხლებაც შეგვეძლებოდა. ჩაქრებოდა მარადიული ცეცხლი, რომელსაც ბავშვობა ჰქვია, და რომელიც ავსებს ჩვენს სამყაროს.

როგორ შეიძლება, არ ირწმუნო თოვლის ბაბუა?! მაშინ არ უნდა დაუჯერო ზღაპარსაც! შენ შეგიძლია, სთხოვო დიდებს, დაუდარაჯნენ თოვლის ბაბუას სახურეებთან და შეიპყრონ იგი. რომ ვერ დაიჭირონ? განა ამით დამტკიცდება მისი არარსებობა? თოვლის ბაბუას ვერავინ ხედავს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ იგი არ არსებობს! შენ უნდა იცოდე, ვირჯინია, ჩვენს სამყაროში ყველაზე რეალური ის საგნებია, რომლებსაც ვერ ხედავენ ვერც მოზრდილები და ვერც ბავშვები! გინახავს, ვირჯინია, შენ ტყის ფერიები?! რასაკვირველია, არა! მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი არ ცხოვრობენ ტბის პირას. არავის შეუძლია წარმოიდგინოს და გაიგოს ჩვენი სამყაროს ყველა საოცრება, კაცთათვის მიუწვდომელი და მუდამ უჩინარი.

თოვლის ბაბუა არ არსებობს? რა სასულელეა! მადლობა ღმერთს, იგი არსებობს და ყოველთვის იარსებებს! იარსებებს ათასი, ათი ათასი და ათჯერ ათი ათასი წლის შემდეგაც! ვირჯინია, იგი იარსებებს ყველა, ყველა ბავშვის სახიხარულოდ!

ინგლისურიდან თარგმნა

კატი ერისთავმა

მთავარი რედაქტორის მოადგილე ზაურ გოლეგაძე სარედაქციო კოლეგია: ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომაძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიშნიანიძე. ბ. სიხარულიძე (პ/მდ. მდივანი), ბ. შირცხალავა, ო. ჭელიძე
● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი. ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42,
● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 26/XI-29 წ. ჭელმოწერილია დასაბეჭდად 19/XII-79 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 2930. უე 00860 ტირ. 160.100: Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თეძრების ავტორები: ბ. ბაბაშიძე, ა. ადეიშვილი, ნ. ბარათაია, ბ. ლომაძე, ბ. ნიშნიანიძე, ი. ფეიერბერგი, ბ. ბაბუაშვილი, თ. ჯეფაროვი.